შპს „კერამიკა ელ ტორენტე+“ „Ceramica el torente +“ ltd

საქართველო, თბილისი, 0162,
ილია ჭავჭავაძის 49ა
ტელ: +995599101848

49 a, I.Chavchavadze Ave. 0162.
Tbilisi. Georgia.
E-mail.: ceramicaeltorente@yahoo.com

№ 99/3 ნოემბერი 2020 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

როგორც მოგეხსენებათ, შ.პ.ს. „კერამიკა ელ ტორენტე+“ (ს/კ 405303005) გეგმავს, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხის მიმდებარე ტერიტორიაზე აგურის საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2018 წლის 12 დეკემბერს, შპს „კერამიკა ელ ტორენტე“-ს (ს/კ 405102632) სახელით, წარმოგიდგინეთ გარემოსდაცვითი სკოპინგის ანგარიში, რაზედაც თქვენი სამინისტროს მიერ გაიცა სკოპინგის დასკვნა N16 (07.02.2019).

აქვე გაცნობებთ, რომ 2019 წლის 1 აგვისტოს, საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული რეორგანიზაციის შედეგად მოხდა „კერამიკა ელ ტორენტე“-სა და „კერამიკა ელ ტორენტე+“-ის შერწყმა, რომლის საფუძველზეც „კერამიკა ელ ტორენტე+“ წარმოადგენს სამართალმემკვიდრე იურიდიულ პირს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკოპინგის დასკვნის ადრესატს და სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს „კერამიკა ელ ტორენტე+“ (ს/კ 405303005).

ზემოთ მოყვანილი ფაქტების გათვალისწინებით, გარემოსდავითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის და თქვენს მიერ გაცემული N16 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად, წარმოგიდგენთ აგურის ქარხნის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული განცხადება/ანგარიში და გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - ბეჭდური ვერსია;
2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - ბეჭდური ვერსია;
3. კომპაქტ დისკი (CD) - ზემოთმოყვანილი დოკუმენტების ელ. ვერსია და საპროექტო საქმიანობის განხორციელების ადგილის გეოსაინფორმაცია სისტემის (GIS) კოორდინატები.

ღრმა პატივისცემით,
გენერალური დირექტორი

ზურაბ ერქვანია

საკონტაქტო: +995 599101848 მობ. ელ.ფოსტა-Zuraberqvania@yahoo.com

№ 17168
"03" 11 2020
1/1CD
02